ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION

ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის
INITIATIVE FOR SOCIAL CHANGES (ISC)

## პროექტი „ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობისთვის“

# ლაგოდეხის თემის სტრატეგია ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისთვის

ლაგოდეხი, საქართველო
2018 წელი

# შინაარსი


**წინასიტყვაობა** ..... **3**

**არსებული სიტუაციის მიმოხილვა** ..... **4**

**დოკუმენტზე მუშაობის პროცესი და მონაწილეები** ..... **7**

**სტრატეგიული გეგმა** ..... **9**

ხედვა/მიზანი ..... 9

ძირითადი პრინციპები ..... 9

**სტრატეგიული მიმართულება 1. საყოველთაო პრევენცია** ..... **11**

მიმოხილვა/მიზანი ..... 11

სამიზნე ჯგუფები ..... 11

ძირითადი ღონისძიებები ..... 11

**სტრატეგიული მიმართულება 2. მიზნობრივი პრევენცია** ..... **11**

მიმოხილვა/მიზანი ..... 11

სამიზნე ჯგუფები ..... 12

ძირითადი ღონისძიებები ..... 12

**სტრატეგიული მიმართულება 3. ინდივიდუალური პრევენცია** ..... **14**

მიმოხილვა/მიზანი ..... 14

სამიზნე ჯგუფები ..... 14

ძირითადი ღონისძიებები ..... 14

**სტრატეგიული მიმართულება 4. დაცვა, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია** ..... **16**

მიმოხილვა/მიზანი ..... 16

სამიზნე ჯგუფები ..... 16

ძირითადი ღონისძიებები ..... 16

**სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები** ..... **18**

**სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი და მონიტორინგი** ..... **19**

**დასკვნითი ნაწილი** ..... **20**

## წინასიტყვაობა

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ლაგოდეხის თემის სტრატეგიას ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისთვის. იგი განსაზღვრავს თემში ბავშვთა კეთილდღეობის გრძელვადიან ხედვას, ოთხწლიან სტრატეგიულ მიმართულებებსა და ძირითად ამოცანებს ლაგოდეხის თემში ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მისაღწევად. „ლაგოდეხის თემის სტრატეგია ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობისთვის“ მომზადდა ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC) პროექტის „ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაუმჯობესება ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში დაფუძნებული „სათემო ქსელი ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისთვის“ მიერ.*

*დოკუმენტის საბოლოო სახით მომზადებას წინ უსწრებდა თვისობრივი კვლევა და სათემო ქსელის სამუშაო შეხვედრები, ლაგოდეხში. კვლევამ მოიცვა როგორც ადგილობრივ თემში მცხოვრები ბავშვები და მათი ოჯახის წევრები, ასევე თემში ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე ყველა ძირითადი უწყება და ორგანიზაცია. კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კვლევის მონაწილეთა რეკომენდაციების/სურვილების გაგება და შემდგომ სტრატეგიულ დოკუმენტში მათი ასახვა. შესაბამისად, დოკუმენტი მომზადდა და ეყრდნობა აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლენილ საჭიროებებსა და ძირითად მიგნებებს. ამასთან, სათემო ქსელის სამუშაო შეხვედრებმა შესაძლებელი გახადა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებების გარდაქმნა მიზნებად და კონკრეტულ ამოცანებად, რომელიც ასახულ იქნა სტრატეგიაში და რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვანია თემში ბავშვთა კეთილდღეობის კუთხით პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად.*

პროექტი ხორციელდება პროგრამის “თანამშრომლობა ოჯახის გაძლიერებისთვის საქართველოს რეგიონებში“ ეგიდით. პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (SWIC)“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) ოთხ პარტნიორთან თანამშრომლობით, რომლებიცაა „ჰილფსვერკ ავსტრია” (HWA), “სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია” (AASW), ”აზერბაიჯანის სოციალური მუშაობის საზოგადოებრივი კავშირი” (ASWPU) და “მოლდოვის რესპუბლიკის ექთნების ასოციაცია” (NARM).

*წინამდებარე მასალა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ მასალაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.*

## არსებული სიტუაციის მიმოხილვა

საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების პარალელურად, კვლავ გამოწვევად იკვეთება პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების განვითარება, რომელთა გარეშეც რეფორმისთვის რთულია შეინარჩუნოს მიღწეული შედეგები და კვლავ აჩვენოს პროგრესი. განსაკუთრებით, ხაზგასასმელია ის გარემოება რომ დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ცალსახად ცენტრალიზებული ხასიათისაა[1] და ნაკლებად იცნობს სათემო სოციალური მუშაობის პრაქტიკას, რაც აისახება კიდეც რეგიონების დონეზე არსებული ოჯახის მხარდაჭერის სუსტ მექანიზმებზე. ამასთანავე, ბავშვთა კეთილდღეობის არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების გამიჯვნასა და შემცირებას. დეინსტიტუციონალიზაციაზე ორიენტირებულმა რეფორმამ ვერ შეძლო ზრუნვის ისეთი ალტერნატიული სისტემის განვითარება, რომელიც სრულად უპასუხებდა ბავშვის საჭიროებებს, ოჯახების მთლიანობის შენარჩუნებასა და ადეკვატურ ინტერვენციას. რეფორმის გამოწვევათა შორისაა ისეთი საკითხები, როგორიცაა შემთხვევათა პროაქტიული გამოვლენა და რეაგირება, ოჯახებს, სოციალურ სამსახურსა და განათლების სისტემას შორის დიალოგის გაუმართაობა, მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა და მათი ეფექტიანობა[2]. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების შესახებ მეოთხე პერიოდულ ალტერნატიულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლად მცხოვრები ბავშვები განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებიან და მათი სახელმწიფო ზრუნვის პროგრამებში გადაყვანის საფუძველი ძირითადად სიღარიბეა, რაც გამოიხატება მათი ინდივიდუალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობასა და ცხოვრების არასათანადო პირობებში. სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველი გასცემს რეკომენდაციას განვითარდეს სოციალურ-ეკონომიკური მომსახურებები ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დასახმარებლად, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის პროცესში გაძლიერდეს სოციალური მუშაკის ჩართვა და ასევე, დაინერგოს მომსახურებები ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვებისათვის.

პროექტის ფარგლებში, ლაგოდეხის თემში განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა ამ თემში ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მიმართულებით აქტუალური ძირითადი საკითხები. კვლევის შედეგების თანახმად, სიღარიბე წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა დაცვასა და ოჯახების ცხოვრების ხარისხზე. ლაგოდეხის რაიონში არსებული დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები, ოჯახებს იძულებულს ხდის ჩაერთონ სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში და მიიღონ სახელმწიფოსაგან ფულადი დახმარება, რაც მათი შემოსავლის ძირითადი წყარო ხდება. ამასთან, სიღარიბე, კვლავ რჩება ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან დაშორების საფუძველი და სახელმწიფო მზრუნველობაში მათი შენარჩუნების მიზეზი, მიუხედავად ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის გაცხადებული პრიორიტეტებისა.

---

[1]ბავშვთა კეთილდღოების რეფორმა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, 2014

[2] ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში, სალომე ნამიჭეიშვილი, 2015

ძალადობა ბავშვთა მიმართ აქტუალური პრობლემაა და ხორციელდება, როგორც ოჯახში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იკვეთება, რომ განსხვავებულად ხდება ძალადობრივი ქმედების შეფასება და განმახორციელებლის ჭრილში ძალადობად კლასიფიცირება ოჯახის წევრთა მიერ. მიუხედავას იმისა, რომ ბულინგის შემთხვევები რაიონში ხშირია, ძალიან სუსტია სკოლისა და სხვა უწყებების როლი, როგორც პრობლემის პრევენციის, ისე შემდგომი რეაგირების კუთხით. ბავშვები დამამცირებელ და ძალადობრივ მოპყრობას თანატოლებისაგან, როგორც ნორმას ისე აღიქვამენ და გამჟღავნების შემთხვევაში ნაკლებად გმნობენ მხარდაჭერას. ბავშვთა შრომა ლაგოდეხის რაიონისთვის ნორმირებული პრაქტიკაა და ხდება მისი განმტკიცება როგორც ოჯახის, ასევე სკოლის მიერ. მინიმალური ასაკი ბავშვთა შრომისა 5-6 წელია, ხოლო უმეტესად 10-14 წლის ასაკიდან ფიქსირდება აქტიურად ბავშვების შრომით საქმიანობაში ჩაბმა. მოზარდებს უწევთ როგორც საოჯახო საქმეების შესრულება, ისე დღიურად დაქირავებულ მუშად მუშაობა. ადრეული ქორწინება მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ იკლო შემთხვევათა რაოდენობამ, თუმცა არსებული სამართლებრივი რეგულაცია საკმარისად ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციას. შემთხვევათა მაჩვენებელს თემის კულტურული და ეკონომიკური მოცემულობა უწყობს ხელს. ასევე, აღსანიშნავია რომ საგანმანათლებლო სისტემა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებებს. სკოლასა და საბავშვო ბაღში არ არიან შესაბამისი ცოდნისაა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. ამასთანავე, სხვა ბავშვების, მათი მშობლებისა და საზოგადოების დამოკიდებულებაც დისკრიმინაციულია.

თემის ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი: ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთან მიმართებით ლიმიტირებულია ცოდნა თემში. მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგების, რისკების, ბავშვთა შრომის საზიანო პრაქტიკის, ადრეულ ქორწინებისა და ბულინგის თაობაზე. აღზრდის მეთოდები და მშობლობის უნარ-ჩვევები მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებთან. ირკვევა, რომ მშობლებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ეფექტური აღზრდის მეთოდებისა და მიდგომების შესახებ. საერთო ჯამში კი ნაკლებად არიან ჩართული შვილების სოციალურ ცხოვრებაში.

რეფერალის პროცედურების იმპლიმენტაცია მნიშვნელოვან გამოწვევად იკვეთება ლაგოდეხის თემისთვის, ნაკლებად გვხვდება ძალადობის რეფერირების პროცედურების მიხედვით გაწერილი ვალდებულებების პრაქტიკაში იმპლემენტაცია. ჩართულ სუბიექტებს არ აქვთ გავლილი შესაბამისი გადამზადება, რომელიც დაეხმარებოდა მათ ვალდებულებების აღსრულებაში. ამავდროულად, სამსახურების უმრავლესობას არ გააჩნია შიდა გაწერილი პროცედურები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის. თანამშრომლობის პრაქტიკა უწყებებს უფრო გამყარებულია პირადი ურთიერთობებით, ვიდრე სამართლებრივი რეგულაციებით. ცალსახაა, რომ ძალადობის რეფერირებაბაზე პასუხისმგებელი უწყებები ნაკლებად ახერხებენ ეფექტიანი რეაგირების წარმოებას. იკვეთება, რომ ბავშთა დაცვა და კეთილდღეობა მხოლოდ ერთი უწყების, სოციალური მომსახურების სააგენტოს, პასუხისმგებლობად არის გაგებული.

**პრევენციული და მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობა** - იმ ფონზე რომ ქვეყნის მასშტაბით, პრევენციული და მხარდამჭერი მომსახურებები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, სამწუხაროდ, არც ლაგოდეხის რეგიონი აღმოჩნდა გამონაკლი ამ თვალსაზრისით. სახელმწიფო ამ თემშიც რეაქტიული პოლიტიკის გამტარად გვევლინება. ლაგოდეხის რაიონში მწირია ოჯახის დახმარების სქემები და იგი მოიცავს მხოლოდ ცენტრალური ხელისფულების მიერ მიწოდებულ რამდენიმე დახმარებას, ასევე ადგილობრივი თვითთმმართველობის მატერიალური სახის მინიმალურ დახმარებებს. გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არ ხდება მათი შემუშავება საჭიროებების კვლევების შედეგად. ფაქტიურად, არ არსებობს არსებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი. მომსახურების თვალსაზრისით, ერთადერთი მომსახურება, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა თანადაფინასებით აფინანსებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დღის ცენტრია. ფუნდამენტურია **სოციალური მუშაკის როლი** ყველა იმ სოციალური პრობლემის პრევენციასა და გადაჭრაში, რომლის წინაშეც დღეს ბავშვები და მათი ოჯახები დგანან. ამ ეტაპზე მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობა, სოციალური მუშაკის გაზრდილი ვალდებულებები, სამუშაოს დატვირთა და პირობები, საფრთხეს უქმნის მათი მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრაქტიკაში განხორციელებას. ამასთან, თემის დონეზე, მხოლოდ ერთი უწყება არის დამსაქმებელი სოციალური მუშაკისა, მაშინ როცა სოციალური მუშაობის განხორციელების მნიშვნელოვნება იკვეთება არაერთი უწყების საქმიანობის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ, წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს ერთიან ხედვას თემის დონეზე განსახორციელებელი ცვლილებებისა. იგი განსაზღვრას ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებსა და მიზნებს, რომელთა მიღწევაც მნიშვნელოვანია ბავშვების მშობელთან/ბიოლოგიურ ოჯახთან დაშორების პრევენციისა და თემში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

## სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესი და მონაწილეები

სტრატეგია შეიქმნა „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC) მიერ განხორციელებული პროექტის „ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაუმჯობესება ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი სამკომპონენტიანია და მიზნად ისახავდა:

- ბავშვიანი ოჯახებისათვის სათემო მხარდაჭერისა და სოციალური მომსახურებების მიწოდების არსებული პრაქტიკის შესწავლა/ანალიზს ლაგოდეხის თემის მაგალითზე;
- სათემო ქსელი ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისათვის დაფუძნება და განვითარებას, თემის დონეზე ბავშვთა დაცვისა და ოჯახის მხარდამჭერის მიმართულებით მუშაობის გასაძლიერებლად, აქცენტით სოციალურ მუშაობის გაძლიერებაზე თემში;
- პოზიტიური მშობლობისა და ბავშვის სოციალური კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ პროგრამის შექმნა და ტრენინგების მიწოდება ბავშვებისა და მშობლების ჯგუფისთვის, საპილოტე რეჟიმში;

სტრატეგიული დოკუმენტი ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი დაფუძნებულია როგორც კვლევით გამოვლენილ საჭიროებებზე, ასევე მისი შექმნა განხორციელდა თანამონაწილეობითი პრინციპების დაცვით.

კვლევა განხორციელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში და მოიცვა შემდეგი მუნიციპალური ერთეულები (ლაგოდეხი, აფენი, ჰერეთისკარი, ლელიანი, მშვიდობიანი, კაბალი, გიორგეთი, საქობო და ჭიაური). კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე ბავშვებმა და მათი ოჯახის წევრებმა. სულ პირისპირ ინტერვიუს მეთოდით გამოკითხულ იქნა 46 მონაწილე. განხორციელდა 4 ფოკუს ჯგუფი, სოციალური მომსახურების სფეროში დასაქმებულ პირთა ჩართულობით. საერთო ჯამში კვლევის განხორციელებაში მონაწილეობა 89 რესპონდენტმა მიიღო. კვლევა მიმდინარეოდა 2017 წლის ივლისი-სექტემბრის თვეში. კერძოდ, საველე სამუშაოები განხორციელებულ იქნა ივლისი-აგვისტოს პერიოდში, ხოლო ანალიზის მომზადება შესაძლებელი გახდა სექტემბერში. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა კვლევისათვის რელევანტური სტატისტიკური და პროგრამული ინფორმაცია იმ სამთავრობო უწყებებიდან, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის პოლიტიკის განხორციელებაში.

სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებულია პროექტის ფარგლებში დაფუძნებული „სათემოს ქსელი ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისთვის“ მიერ. ქსელის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკები;
- ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელი;

- ააიპ „ლაგოდეხის ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი და თანამშრომლები;
- დირექტორები, მასწავლებლები/აღმზრდელები საგანმანათლებლო (სკოლა) და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სათემო ქსელის სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ფასილიტაციასა და ჩანაწერების წარმოებას ახდენენ ორგანიზაცია „ინიციტივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC) პროექტის თანამშრომლები. შესაბამისად, დოკუმენტის საბოლოო სახით მომზადება განხორციელდა მათ მიერ. სათემო ქსელთან მუშაობა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადდა შემდეგი თანმიმდევრული ნაბიჯების დაცვით:

**პირველი ეტაპი.** სათემო ქსელის დაფუძნება, თანამშრომლობის მიზნებსა და ფორმატზე შეთანხმება;

**მეორე ეტაპი.** სათემო ქსელის წევრებისთვის ბავშვთა დაცვის საკითხებზე ოთხდღიანი ტრენინგის მიწოდება;

**მესამე ეტაპი.** სათემო ქსელის წევრებისთვის კვლევის შედეგების პრეზენტაცია და სამუშაო შეხვედრების გამოხრციელება მათთან სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების მიზნით. სამუშაო შეხვედრები განხორციელდა შემდეგ თემებზე:

- შეხვედრა I: აქტუალური საკითხების პრიორიტეტიზაცია და ხედვის განსაზღვრა;
- შეხვედრა II: მისიის განაცხადიის მომზადება, სტრატეგიული მიმართულებებსა და მიზნობრივ ჯგუფებზე შეთანხმება;
- შეხვედრა III: სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების/ღონიძიებების განსაზღვრა;
- შეხვედრა IV: სტრატეგიის აღსრულების მექანიზმებისა და შესაძლებლობების განხილვა.

**მესამე ეტაპი.** სათემო ქსელის წევრების მიერ სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მომზადებული მასალის დამუშავება და დოკუმენტის საბოლოო სახით მომზადება ფასილიტატორების მიერ.

*აღსანიშნავია, რომ სტრატეგია თავის მხრივ მოითხოვს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შედგენას. საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგია ექვემდებარება გადახედვას/განახლებას.*

## ლაგოდეხის თემის სტრატეგია
## ბავშვებისა და ოჯახების კეთილდღეობისთვის

***ხედვა:*** *ძლიერი თემი, სადაც ყველა ბავშვს აქვს განვითარების თანასწორი შესაძლებლობები, დაცულია მათი უფლებები, ბავშვები ცხოვრობენ მზრუნველ და უსაფრთხო ოჯახურ გარემოში.*

***მისია/მიზანი:*** *სტრატეგიის მიზანია თემის დონეზე განვითარდეს პოლიტიკა და პროგრამები, რომელიც მიმართულია ბავშვთა უფლებების პოპულარიზაციასა და განხორციელებაზე, ბავშვთა დაცვის გარანტიების შექმნასა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან დაშორების პრევენციაზე*

**ძირითადი პრინციპები:** ზემოაღნიშნული ხედვის განსახორციელებლად სტრატეგიული დოკუმენტი ემყარება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) შემდეგ პრინციპებს:

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესები:** ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენს უპირველს აუცილებლობას ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს. ეს ნიშნავს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძოს სექტორში მომუშავე პირის ვალდებულბას ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვზე და გადაწყვეტილების თანმდევი შედეგები, განხილულ იყოს მასთან და გათვალისწინებულ იქნა ბავშვის საუკეთესო ინტერესები;

- **არა-დისკრიმინაციული მიდგომა:** ყველა ბავშვს აქვს უფლება ისარგებლობს ბავშვთა უფლებათა კონვენციით გარანტირებული უფლებებით. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება მოახდინოს ყველაზე მოწყვლადი ბავშვების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი უფლებების რეალიზაცია და დაცვა;

- **ბავშვის აზრის პატივისცემა და მონაწილეობა:** ამ პრინციპის თანახმად, ყველა ბავშვს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი ნებისმიერ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მასზე ახდენს გავლენას და ამავდროულად მას აქვს უფლება მოითხოვოს მისი აზრის გათვალისწინება ასაკისა და განვითარების ეტაპის შესაბამისად;

- **სიცოცხლის, კეთილდღეობისა და განვითარების უფლება:** თითოეულ ბავშვს აქვს უფლება სიცოცხლის, კეთილდღეობისა და განვითარების და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ბავშვის ამ უფლებათა რეალიზაცია.

სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად, განისაზღვრა ოთხი ძირითადი **სტრატეგიული მიმართულება** და შესაბამისი ამოცანები:




თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის (ინტერვენციის დონე) განისაზღვრა მიზნობრივი ჯგუფი და ღონისძიებათა ზოგადი სახის ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

**მიმართულება 1. საყოველთაო პრევენცია**

*საყოველთაო პრევენცია მიმართულია ყველა ბავშვსა და ოჯახზე და მიზნად ისახავს როგორ ბავშვებისა და მათი ოჯახების, ასევე, ფართო საზოგადოების, მომსახურების მიმწოდებლების, გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებზე.*

**მიზნობრივი ჯგუფი:** ყველა ბავშვი და მათი ოჯახი

**ძირითადი ღონისძიებები:**

ღონისძიება 1. ხელმისაწვდომობა საყოველთაო მომსახურებებზე, როგორიცაა სკოლამდელი აღზრდა, ზოგადი განათლება (სკოლა) და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება;

ღონისძიება 2. მშობლების ინფორმირება პოზიტიური მშობლობის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა ბავშვის განვითარების საჭიროებები, ეფექტური კომუნიკაცია ბავშვთან, მშობლის უფლებები და პასუხისმგებლობები (საინფორმაციო სახის შეხვედრები);

ღონისძიება 3. ბავშვებთან მომუშავე სამსახურების/სპეციალისტების (ადგილობრივი თვითმმართველობა, სკოლა, ბაღი, სამედიცნო დაწესებულება, პოლიცია და სხვ.) ცნობიერების ამაღლება და უნარების გაუმჯობესება ბავშვის უფლებებისა და პოზიტიური დისციპლინის მიდგომების შესახებ;

ღონისძიება 4. სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვის სოციალური უნარების გამაძლიერებელი პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით;

ღონისძიება 5. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, ბავშვთა მიმართ ძალადობის, თანატოლთა ჩაგვრის (ბულინგის), ბავშვთა შრომისა და ადრეული ქორწინების საკითხებზე;

ღონისძიება 6. თემში მოხალისეობრივი ინსტიტუტის განვითარება - ახალგაზრდების გააქტიურება თანატოლების მხარდასაჭერად.

**მიმართულება 2. მიზნობრივი პრევენცია / ადრეული ინტერვენცია**

*მიზნობრივი პრევენცია მიმართულია იმ ბავშვებისა და ოჯახებისაკენ, რომელსაც აქვთ ერთი ან მეტი რისკ ფაქტორი. ამ შემთხვევაში, ბავშვებსა და მათ ოჯახებს, ინფორმირებასთან და ცნობიერების ამღლებასთან ერთად, ჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა, რათა თავიდან აირიდონ პრობლემების ესკალაცია.*

**მიზნობრივი ჯგუფი:**

- სიღარიბესა და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები;
- საცხოვრებლის არ მქონე და/ან მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები;
- ბავშვები მძიმე და/ან ქრონიკული ჯანმრთელობის (ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა) პრობლემებით;
- ბავშვები, რომელთა მშობელს/ებს აქვთ მძიმე და/ან ქრონიკული ჯანმრთელობის (ფიზიკური და ფსიქიკური ჯამრთელობა) პრობლემები;
- ბავშვები, რომელთა მშობელი/ები მოიხმარენ მავნე ნივთიერებებს;
- ბავშვები, რომელთა მშობლი/ები იმყოფებიან მიგრაციაში და მათზე მზრუნველობას ახორციელებს ოჯახის სხვა წევრი;
- ბავშვები, რომლებზეც მზრუნველობას ახორციელებს მარტოხელა მშობელი;
- ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახებიდან;
- ბავშვები, რომელსაც ჰყავთ ახალგაზრდა მშობლები;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები;
- დოკუმენტაციის გარეშე ბავშვები.

**ძირითადი ღონისძიებები:**

ღონისძიება 1. მშობელთა სკოლები და მშობლობის უნარების გაძლიერებაზე მიმართული აქტივობების განხორციელება (მოკლევადიანი მშობელთა ტრენინგი პოზიტიურ მშობლობაზე, ბიუჯეტირებაზე, ოჯახის დაგეგმვასა და მართვაზე) მშობლებისთვის/ძირითადი მზრუნველებისთვის, განსაკუთრებით კი ახალბედა/ახალგაზრდა მშობლების ინფორმირებას ბავშვის მოვლისა და მასზე ზრუნვის საკითხებზე;

ღონისძიება 2. დღის ცენტრის მომსახურებების მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (არსებული ცენტრის შესახებ ინფორმირება, მომსახურებაში ჩართვა, ცენტის განვითარების ხელშეწყობა). ამასთან, რაიონში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შეზღდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის;

ღონისძიება 3. თემზე დაფუძნებული სოციალური მომსახურებების განვითარება ბავშვებისთვის, როგორიცაა ბავშვთა მეგობრული ცენტრები, რომლებიც შეიძლება განვითადეს სკოლის ბაზაზე და მოიცავდეს როგორც არაფორმალური, გასართობ-შემეცნებით აქტივობებს, ასევე მინიმუმ ერთჯერადი კვების კომპონენტს.

ღონისძიება 4. ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერისა და თვით-დასაქმება/დასაქმების პროგრამების შექმნა განვითარება, განსაკუთრებული აქცენტით ქალთა დასაქმების ხელშეწყობაზე. ეკონომიკური მხარდაჭერა შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- 2.4.1. პროფესიული განვითარების/გადამზადების კურსების და შემოსავლის წყაროს მიგნებასთან დაკავშირებული სწავლების ღირებულების გადახდა;
- 2.4.2. ხელსაწყოებისა და თვითდასაქმებისა და შემოსავლის წყაროს შექმნისათვის საჭირო საშუალებების გადაცემა (ანუ მარცვლეული, ნერგები, შინაური ცხოველები, მებაღის სპეციალური ხელსაწყოები, საკერავი მანქანა, სტილისტის ხელსაწყოები და ა.შ.).ეკონომიური დახმარების ნაწილის სახით, ოჯახს ასევე შეიძლება დაეხმარება გაეწიოს შემოსავლის წყაროს მისაღებად გამიზნული საქმიანობის დაწყებაში (შეიძლება მოიცავდეს მზარეულობას, მებაღეობას, რძის პროდუქტების წარმოებას, მეფრინველეობას და ა.შ. იგულისხმება ყველა ის საქმიანობა, რომელიც ოჯახს საშუალებას აძლევს შემოსავალი მიიღოს ადგილობრივ ბაზარზე პროდუქტის გაყიდვით).

ღონისძიება 5. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის, საყოფაცხოვრებო პირობების გამუჯობესება (მასალის შესყიდვა და სარემონტო სამუშაოების ჩატარება);

ღონისძიება 6. დოკუმენტაციის გარეშე მყოფი ბავშვებისათვის, დოკუმენტაციის აღების მომსახურების დაფინანსება და პროცესის მხარდაჭერა.

ღონისძიება 7. ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე ადგილობრივი სამსახურების (ადგილობრივით თვითმმართველობა, საგანმანათლებლო (სკოლა) და სკოლამდელი აღზრდის (ბაღი) დაწესებულებების) შესაძლებლობების გაძლიერება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დროული იდენტიფიცირებისა და შესაბამის სამსახურებებთან რეფერირების მიზნით.

ღონისძიება 8. ადგილობრივ თვითმმართველობაში სოციალური მუშაობის ინსტიტუტის დანერგვა და პრევენციული სოციალური მუშაობის წარმოება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან. სოციალური მუშაკის ფუნქცია ადგილობრვი თვითმმართველობაში შეიძლება იყოს:

- 8.1.1. ოჯახის ჰოლისტური შეფასების განხორციელება და ბავშვზე ზიანის რისკის ანალიზი;
- 8.1.2. ოჯახის განვითარების გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მომსახურებებთან/რესურსებთან დაკავშირება, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ პროგრამებში ჩართვაზე /დახმარებების მიწოდებაზე რეკომენდაციის გაცემა;

- 8.1.3. ოჯახის განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ოჯახის მხარდაჭერა პროცესში;
- 8.1.3. მშობელთა დახმარება მშობლის უნარების გაუმჯობესების კუთხით, რათა მშობლებმა შეძლონ ეფექტურად უპასუხონ ბავშვის განვითარების საჭირობებს, გაიუმჯობესონ ფუნქციური უნარები და მართონ ოჯახის ბიუჯეტი.
- 8.1.2. შემთხვევის მართვის მულტიდისციპლინარული პრაქტიკის განვითარება და კოორდინაცია შემთხვევის მართვის შეხვედრების (რელევანტურია ინდივიდუალური პრევენციისთვის) განხორციელების გზით;

ღონისძიება 9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის კუთხით, სკოლის სოციალური მუშაობის, ანტიბულინგური და ბავშვების სოციალური კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული პროგრამების განხორციელების გზით.

**მიმართულება 3. ინდივიდუალური პრევენცია**

*ინდივიდუალური პრევენცია მიმართულია იმ ბავშვებისა და ოჯახებისაკენ, რომელთაც აქვთ კომპლექსური საჭიროებები და სადაც ფიქსირდება ბავშვის მიმართ ძალადობა. ინდივიდუალური პრევენციის მიზანია დროულად მოხდეს ჩარევა მსგავსი ტიპის შემთხვევებში, რათა შემცირდეს თანმხლები და შემდგომი გართულებები:*

**მიზნობრივი ჯგუფი:**

- ბავშვები, რომლებიც განიცდიან ძალადობას სხვადასხვა ფორმით, თუმცა ხდება მათი ოჯახში შენარჩუნება მონიტორინგისა და სათანადო მხარდაჭერის პირობებში;
- ბავშვიანი ოჯახები, სადაც ფიქსირდება ოჯახის წევრებს შორის ძალადობა;
- ბავშვები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო მზრუნველობის ალტერნატიულ ფორმებში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სხვა ინსტიტუციური ტიპის დაწესებულები) ცხოვრების გამოცდილება;
- ოჯახები, სადაც ფიქსირდება ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობაში ყოფნის გამოცდილება, არასრულწლოვნების გარდაცვალების შემთხვევა და წარსულში ბავშვზე ძალადობის შემთხვევა.

ღონისძიება 1. უზრუნველყოფილ იქნას გაიდლაინებისა და შიდა ინსტრუქციების მომზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიქტების მიერ, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობა/მერია, ბაღების გაერთიანება, სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიერ;

ღონისძიება 2. მშობლების ტრენინგი (გრძელვადიანი და ინტენსიური) / მშობელთა მხარდაჭერის ჯგუფები პოზიტიური მშობლობის, ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფუნქციური უნარების გაუმჯობესების მიზნით;

ღონისძიება 3[3]. ბავშვებზე სათანადოდ ზრუნვის უზრუნველსაყოფად, ბავშვების პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა საჭირო გახდეს საგანგებო ინტერვენცია, რისთვისაც უნდა განისაზღვროს ფინანსური და მატერიალური დახმარება, როგორც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის გაწეული დროებითი ფულადი ან არაფულადი დახმარება ბავშვის მშობელთან დაშორების საფრთხის შემცირების მიზნით. დახმარება მნიშვნელოვანია გაიცეს სოციალური მუშაკის რეკომენდაციის/მომართვის საფუძველზე და შემთხვევის მართვას უნდა ახორციელებდეს სოციალური მუშაკი. ოჯახის მხარდაჭერი ფინანსური და მატერიალური სახის დახმარება შესაძლებელია იყოს:

- 3.1.1. საკვებით დახმარება - ამგვარი დახმარება შეიძლება გაიცეს საკვების პაკეტების ან საკვების ვაუჩერების სახით. იგი ოჯახს ეძლევა იმ შემთხვევაში თუ (1) დადგინდება, რომ ბავშვები კვების ნაკლებობას განიცდიან (აღენიშნებათ წონაში და სიმაღლეში ჩამორჩენა იმავე თემის სხვა ბავშვებთან შედარებით და ეროვნული ჯანდაცვის მაჩვენებლების მიხედვით) და/ან (2) იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის საკვები ხშირად სათანადო (ხარისხობრივად და რაოდენობრივად სათანადო) არ არის.
- 3.1.2. ტანსაცმლით დახმარება - ბავშვებისათვის ტანსაცმლით დახმარება ხდება როდესაც მათ არ აქვთ ასაკის, ზომისა და სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რამაც შეიძლება ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს და განაპირობის მათთვის განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვა.
- 3.1.3. სამედიცინო დახმარება - სამედიცინო დახმარების მიზანია გააუმჯობესოს როგორც ბავშვების, ისე აღმზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და დაეხმაროს მათ ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობის შენარჩუნებაში, შესაბამისი სამედიცინო მომსახირების დაფინანსების თუ მედიკამენტებისთვის ვაუჩერის გადაცემის გზით. სამედიცინო დახმარება ყოველთვის ექიმისა და სამედიცინო პერსონალის კონსულტაციის და მითითების საფუძველზე უნდა გაეწიოთ.
- 3.1.4. ცხოვრების პირობების გაუმჯობესობა - ამ ტიპის დახმარების მიზანია გააუმჯობესოს ცხოვრების პირობები, რომელიც რეალურად ან პოტენციურად უქმნის საფრთხეს ბავშვების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. დახმარება შეიძლება

[3] დახმარება უნდა გაიცეს იმ ოჯახებზე, რომლებიც ვერ მოხვდენენ სახელმწიფო კრიზისული დახმარების პროგრამაში, მაგრამ აქვთ გამოკვეთილი საჭირეობა.

გულისხმობდეს შემდეგს: სამშენებლო მასალების და/ან სარემონტო სამუშაოს ღირებულების გადახდა; ძირითადი ავეჯისა, ჰიგიენისა და სხვა საოჯახო ნივთების გადაცემა.

- 3.1.5. ქირითა და კომუნალურებით დახმარება - იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახს საცხოვრებელი არ გააჩნია და არც სახსრები აქვს ოთახის/ბინის დასაქირავებლად, ოჯახს შეიძლება გაეწიოს დროებითი (კრიზისული მდოგმარეობის ამოწურვამდე / 3 თვიდან-9 თვემდე) ან ნაწილობრივი ფულადი დახმარება ქირის გადასახდელად. გარდა ამისა, ოჯახს შეიძლება გაეწიოს დახმარება კომუნალურების დაფარვის სახით.

ღონისძიება 4. მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოების ტერიტორიული ერთეულებში, რაიონულ დონეზე, ფსიქოლოგის მომსახურების ინტეგრაცია და/ან ფსიქოლოგისა და სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების მომსახურების შესყიდვა და მიწოდება შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვისთვის.

ღონისძიება 5. სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერებაზე ადვოკატირება, რაც მოიაზრებს მათთვის ადეკვატურ სამუშაო დატვირთვას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემას, ასევე, მათ უწყვეტ პროფესიულ განათლებას როგორც პრევენციული, ასევე სარეაბილიტაციო მიმართულებით ეფექტიანი სამუშაოს განხორციელების მიზნით.

**მიმართულება 4. დაცვა, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია**

*დაცვა, რეაბილიტაცია და რეიტენგრაცია მიმართულია იმ ბავშვებისა და ოჯახებისაკენ, სადაც ზიანის მაღალი რისკია და ვერ მოხერხდა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება. ამ მიმართულების მიზანია ბავშვს და ოჯახს გაეწიოს შესაბამისი სარეაბილიტაციო სახის მხარდაჭერა და გაგრძელდეს მუშაობა ბავშვის ოჯახში რეიტეგრაციის კუთხით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.*

**მიზნობრივი ჯგუფი:**

- ბავშვები, რომლებიც განიცდიან ძალადობას და რომლებიც ზიანის მაღალი რისკიდან გამომდინარე საჭიროებენ სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებას;
- ბავშვები, რომლებიც უკვე იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობის ალტერნატიულ ფორმებში (მიდობით აღზრდა, ნათესაური მიდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი);

**ძირითადი ღონისძიებები:**

ღონისძიება 1. ბავშვთა დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების მიერ.

ღონისძიება 2. მომსახურების მიმწოდებლების (მინდობით აღმზრდელი, ნათესაური მინდობით აღმზრდელი, მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალი) შესაძლებლობების გაძლიერება (ტრენინგი და პროფესიული მხარდაჭერა) სათანადო ზრუნვის განხორციელების მიზნით.

ღონისძიება 3. ფსიქოლოგისა და სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების მომსახურების შესყიდვა და მიწოდება შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვისთვის.

ღონისძიება 4. ალტერნატიული ზრუნვის ფორმებში (მინდობით აღზრდა, ნათესაური მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი) მყოფი ბავშვების მდგომარეობის ზედამხედველობა და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით; მნიშვნელოვანია, სადაც ეს შესაძლებელია, ოჯახებს გაეწიოთ მხარდაჭერა ფუნქციონირების აღდგენაში და მომზადებულ იქნან ბავშვების ოჯახში დასაბრუნებლად, რისთვისაც მომზადების ეტაპზე ოჯახს უნდა მიეწოდოს სტრატეგიული მიმართულების მეორე და მესამე დონეზე აღწერილი მომსახურებები/დახმარებები (მიმართულება 2. ღონისძიება 4; მიმართულება 3. ღონისძიება 2, 3, და 4), საჭიროების შემთხვევაში.

**პასუხისმგებლობების განაწილება სტრატეგიის განხორციელებაზე:**

ბავშვთა დაცვა და კეთილდღეობა საჭიროებს უწყებათა და სექტორთა შორის მჭიდრო და კოორდინირებულ თანამშრომლობას. უმნიშვნელოვანესია, როგორც ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმის გაწერა და სისტემური დიალოგის ხელშეწყობა ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების განვითარების მიზნით; თანამშრომლობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს რეაქტიული პოლტიკიდან გადასვლა პრევენცული პოლიტიკაზე და პასუხისმგებლობების გადანაწილების ნათელი სქემის შექმნა. აღნიშნულის მისაღწევად, მნიშვნელოვანია სათემო ქსელმა გააგრძელოს მუშაობა იმავე ფორმატში (რაც განხილულ იქნა სათემო ქსელის ბოლო შეხვედრაზე) და კოორდინირებული მუშაობით შეიქმნას სტრატეგიის დამხარე სხვა საჭირო დოკუმენტები (წლიური სამოქმედო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტი და სხვ.).

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან ლაგოდეხის თემში მოქმედი - ადგილობრივი თვითმმართველობა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, საგანმანათლებლო რესურს ცენტრი, საგანმანათლებო დაწესებულებები (სკოლები) და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაღები), სსიპ „ლაგოდეხის ბაღების გაერთიანება“, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და თემში ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სხვა შესაბამისი ინსტიტუტები და ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები.

მნიშვნელოვანია, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და მათი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მომსახურებების მათგან კონტრაქტის წესით შესყიდვის პრაქტიკის განვითარების გზით. ამავდროულად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესის სოციალური პასუხიმგებლობის კუთხით მუშაობა და მათი ჩართულობის გაძლიერება ბავშვთა კეთილდღეობის საქმეში.

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ თემისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელებისთვის შესაბამისი საკვანძო სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) ნაკლებობა რაიონში. მნიშვნელოვანია, ამ კუთხით გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნული პროფესიების შესახებ, რათა გაიზარდოს მათი დაინტერესება ამ მიმართულებით.

| სტრატეგიული მიმართულებები/ ჩარევის დონეები | პასუხისმგებელი უწყებები / ორგანიზაციები | დახმარე უწყებები / ორგანიზაციები |
|---|---|---|
| **I დონე. საყოველთაო პრევენცია**<br><br>ყველა ბავშვი და ოჯახი | საყოველთაო მომსახურების მიმწოდებელები: ბაღი, სკოლა და პოლიკლინიკა | არასამთავრობო ორგანიზაციები<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობა<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| **II დონე. მიზნობრივი პრევენცია**<br><br>რისკ ჯგუფებს მიკუთვნებული ბავშვები და ოჯახები | ადგილობრივი თვითმმართველობა<br><br>საყოველთაო მომსახურების მიმწოდებელები: ბაღი, სკოლა და პოლიკლინიკა | მომსახურების მიწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები<br>სოციალური მომსახურების სააგენტო<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| **III დონე. ინდივიდუალური პრევენცია**<br>ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკის წინაშე მყოფი ბავშვები, რომლებიც რჩებიან ოჯახში მონიტორინგისა და მხარდაჭერის პირობებში | სოციალური მომსახურების სააგენტო<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობა | საყოველთაო მომსახურების მიმწოდებელები: ბაღი, სკოლა და პოლიკლინიკა<br><br>მომსახურების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები<br><br>დონორი ორგანიზაციები |
| **IV დონე. დაცვა, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია**<br>ძალდობის მსხვერპლი ბავშვები (ზიანის მაღალი რისკის შემთხვევები), როდესაც ვერ ხერხდება ბავშვის ოჯახში შენარჩუნება / სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვები | სოციალური მომსახურების სააგენტო | ადგილობრივი თვითმმართველობა<br><br>საყოველთაო მომსახურების მიმწოდებელები: ბაღი, სკოლა და პოლიკლინიკა<br><br>მომსახურების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები<br><br>დონორი ორგანიზაციები |

## სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები

წინამდებარე სტრატეგიის წარმატებულად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომზადდეს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გაიწერება კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების/ღონისძიებების საპასუხო აქტივობები, პასუხისმგებელი უწყებები და დროითი ჩარჩო. ასევე, უნდა მოხდეს განფასება შესაბამისი აქტივობებისა და უნდა მიეთითოს დაფინანსების ოდენობა და წყაროები. ადგილობრივი თვითმმართველობის წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებულ უნდა იქნას თანხა იმ მომსახურებების განვითარებისთვის, რომლებზეც პასუხისმგებლობას აიღებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

## მონიტორინგი და შეფასება

სამოქმედო გეგმასთან ერთად უნდა განვითარდეს მონიტორინგისა და შეფასების მოქნილი სისტემა, რომელიც დაეფუძნება შესაბამის კონკრეტულ ინდიკატორებს და რომლითაც გაანალიზდება შედეგების ეფექტიანობა. მონიტორინგის საფუძველზე მოხდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ეფექტურობის დადგენა და მათი განხორციელების პროცესში კონკრეტული სირთულეებისა და გამოწვევების გამოვლენა. შეფასების სისტემის განვითარება აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების შესრულების შესაფასებლად. პერიოდული მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს მიღებული სარგებლის დადგენას და შედეგების შესაბამისობას მიზნებთან. შედეგებზე ორიენტირებული შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში, სამოქმედო გეგმაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სრულყოფილად წარმოებისთვის, მნიშვნელოვანია შეიქმნას განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის მოქნილი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის რაონდენობრივი მონაცემების დროულ დამუშავებას და გაზიარებულ იქნება უწყებებს შორის.

## დასკვნითი ნაწილი

სტრატეგიული დოკუმენტი ოთხწლიანია და საჭიროების შემთხვევაში იგი ექვემდებარება გადახედვას/განახლებას, როგორც უახლესი კვლევებისა და მტკიცებულებების, ასევე, საკანმომდებლო და სხვა ტიპის ცვლილებების გათვალისწინებით მიზნით. სტრატეგიითა და შემდგომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამების და მომსახურებები განვითარება უნდა განხორციელდეს საპილოტე რეჟიმში და უნდა დაინერგოს ის მომსახურებები, რომელთა ეფექტურობაც დადასტურდება შესაბამისი შეფასებით. პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მომსახურების მიმწოდებელთა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციათა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ბავშვების მონაწილეობითი ჩართულობა.